



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ოქტომბერი 2024



N 611/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, შპს „პარვუს ბასრას“ „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდაზე, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „პარვუს ბასრას“ (ს/კ 405564438) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 14 აგვისტოს (წერილი N8282) წარმოდგენილ იქნა ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდის, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N457/ს 20.08.2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შპს „პარვუს ბასრას“ მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დაზუსტებული ინფორმაცია (N9838, 07.10.2024), კერძოდ: ტექნიკური პარამეტრებისა და საპროექტო გენერაციის შესახებ და გენ-გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

2024 წლის 3 ივნისს შპს „პარვუს ბასრას“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იქნა ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდის, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N41; ბრძანება N358/ს 12.07.2024).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, შპს „პარვუს ბასრა“ მდ. ბუჟუას ხეობაში ახორციელებს „ბასრა 1“ (სიმძლავრე 1,98 მგვტ), „ბასრა 2“ (სიმძლავრე 1,97 მგვტ), „ბასრა 3“ (სიმძლავრე 1,96 მგვტ) და „ბასრა 4“ (სიმძლავრე 1,98 მგვტ) ჰიდროელექტროსადგურების პროექტს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ამ ეტაპზე ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია. გენერირებული ენერჯის საერთო ქსელში ჩართვის მიზნით განხორციელდა ასევე 10 კვ საკაბელო ეგზ-ის და 35 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის სამუშაოები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „პარვუს ბასრას“ დაგეგმილი აქვს ჰესების სიმძლავრეების გაზრდა, რაც განპირობებულია საკვლევ რეგიონში 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობით (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N2-1078 12/11/2019). აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი უზრუნველყოფს ჰესების გენერირებული ელექტროენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესების სიმძლავრეების ცვლილების, შედეგად „ბასრა 1“-ის სიმძლავრე იქნება 12.53 მეგავატი, „ბასრა 2“-ის - 9.34 მეგავატი, „ბასრა 3“-ის - 4.15 მეგავატი, „ბასრა 4“-ის - 3.32 მეგავატი. გარდა ამისა, ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვის მიზნით, გათვალისწინებულია არსებული 10 კვ საკაბელო ეგხ-ის ძაბვის ამალღება 35 კვ-მდე, არსებული საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ ქვესადგურამდე დაგრძელება/გაყვანა და ახალი 110 კვ ქვესადგურის მოწყობა. ჰესების ინფრასტრუქტურიდან (კერძოდ „ბასრა 2“-ის სათავე კვანძიდან) უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 800 მეტრში (სოფ. გომისმთა). საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 1,5 კმ-ის დაშორებით. 110 კვ ძაბვის ქვესადგურის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 10-15 მეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ-45 ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთა).

გზმ-ის ანგარიშში განხილულია ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიური და არაქმედების ალტერნატიული ვარიანტები. ანგარიშის თანახმად, ვინაიდან დღეის მდგომარეობით ოთხივე ჰესის მოწყობითი სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია, განხილულია მხოლოდ 110 კვ ქვესადგურის და მასთან დამაკავშირებელი (74 მ) 35 კვ საკაბელო ხაზის ადგილმდებარეობის ორი ალტერნატიული ვარიანტი. I შერჩეული ვარიანტი მდებარეობს 26.33.23.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო II ალტერნატიული ვარიანტი მდებარეობს შერჩეული ვარიანტის მომიჯნავედ (მიახლოებითი GPS კოორდინატებით: X 260138, Y 4638766; X 260175, Y 4638778; X 260240, Y 4638709; X 260166, Y 4638694). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ქვესადგურის და 35 კვ საკაბელო ხაზის მდებარეობის ალტერნატივა შეირჩა ბიოლოგიური და გეოლოგიური გარემო პირობების გათვალისწინებით. ანგარიშის თანახმად, II ვარიანტის შერჩევის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ტყით დაფარული ტერიტორიის ათვისება, ამასთან საჭირო იქნებოდა ფერდობის ჩამოჭრა-დამუშავება (ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს 20-30 გრადუსის დახრილობის ფერდობს), რაც თავის მხრივ დაკავშირებული იქნებოდა გეოლოგიური გარემოს სტაბილურობაზე შესაძლო მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, ასევე უარყოფით ზემოქმედებას მოახდენდა, როგორც ფლორისტულ, ისე ფაუნისტურ გარემოზე. ანგარიშში ასევე განხილულია ქვესადგურის და ეგხ-ის ტექნოლოგიური ალტერნატივები, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების და შესასრულებელი სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა საკაბელო ეგხ-ს და ღია ტიპის ქვესადგურის მოწყობას ელევანური ამომრთველებით.

„ბასრა 1“ ჰესის სათავე კვანძი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომელიც განთავსებულია მდ. ბჟუჟაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 1114-1120 მ ნიშნულზე (GPS კოორდინატები: X-261584; Y-4634069). „ბასრა 1“ ჰესის სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის: ტიროლის ტიპის წყალმიმღები, დამბა (სიგანე 7,5 მ, სიმაღლე 4 მ), სალექარი (4x22x4მ), „გასასვლელი აუზების“ ტიპის 10 საფეხურიანი თევზსავალი, ასევე „ბასრა 1“ ჰესი მოიცავს 1474 მ სიგრძის და 1200 მმ დიამეტრის ფოლადის სადერივაციო მილსადენს, რომელიც სათავე კვანძიდან აწვდის წყალს ძალურ კვანძს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია „ბასრა 1“ ჰესის 1,98 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტიპის ტურბინის ჩანაცვლება იგივე ტიპის 6.24 მგვტ სიმძლავრის ტურბინით და მეორე 6.29 მგვტ სიმძლავრის ტურბინის განთავსება. ჰესის საანგარიშო წყლის ხარჯი იქნება 4 მ³/წმ. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, „ბასრა 1“ ჰესის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - 0,28 მ³/წმ, რომელიც თევზსავალის მეშვეობით, მუდმივად გაედინება ქვედა ბიეფში. გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-260982.2;

Y4635420.7. „ბასრა 1” ჰესის წყალსატევის შეგუბების მოცულობა ნორმალური შეტბორვის პირობებში შეადგენს 195 მ³-ს, წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი 195 მ²-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დამბის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბება არ სცდება მდინარის კალაპოტს.

„ბასრა 3” ჰესის სათავე კვანძი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომელიც განთავსებულია მდინარე ბჟუჟას მარცხენა შენაკადზე ზ.დ. დაახლოებით 916-920 მ ნიშნულზე (GPS კოორდინატები: X-260492; Y- 4634160). „ბასრა 3” ჰესის სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის: გვერდითი ტიპის წყალმიმღები, დამბა (სიგანე 10 მ, სიმაღლე 4 მ), სალექარი (5მx19x3მ), თევზამრიდი (8 მმ სიგანის უჯრედის ზომის ლითონის ცხაურები), „გასასვლელი აუზების” ტიპის 10 საფეხურიანი თევზსავალი და ჰესის შენობა.

„ბასრა 3” ჰესი მოიცავს 1470 მ სიგრძის და 1000 მმ დიამეტრის ფოლადის სადერივაციო მილსადენს, რომელიც სათავე კვანძიდან აწვდის წყალს ძალურ კვანძს. ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია „ბასრა 3” ჰესისთვის განკუთვნილი 1,96 მგვტ სიმძლავრის ტურბინის ჩანაცვლება, 4.15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ორმაგი ჭავლისებრი ტიპის ტურბინით. „ბასრა 3” ჰესის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - 0,16 მ³/წმ, რომელიც თევზსავალის მეშვეობით, გაედინება ქვედა ბიეფში. ჰესის საანგარიშო ხარჯი იქნება 3 მ³/წმ. დამბის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბების მოცულობა ნორმალური შეტბორვის პირობებში შეადგენს 842 მ³-ს, ხოლო სასარგებლო მოცულობა 820 მ³-ს. წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობია 842 მ². გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-260979.9; Y4635432.6.

გამომუშავებული ენერჯის გენერირების მიზნით „ბასრა 3” ჰესის ტერიტორიაზე განსაზღვრული იყო 10 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის მოწყობა, თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე დაგეგმილია სიმძლავრის გაზრდა, გათვალისწინებულია რომ „ბასრა 3” სააგრეგატო შენობის ტერიტორია აღიჭურვოს 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორებით. „ბასრა 3“-ის და „ბასრა 1“-ის ტურბინები განთავსებული იქნება ერთ შენობაში, რომლის ზომებია: 34 x 20,5 მ (სიგრძე/სიგანე). ჰესის შენობა განთავსებულია ზღვის დონიდან დაახლოებით 732 მ ნიშნულზე. კონსტრუქცია შედგება რკინაბეტონის სამირკვლისგან და ლითონის კარკასისაგან. კედლები მოწყობილია სენდვიჩ-პანელებით.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „ბასრა 2” ჰესი შედგება ორი სათავე კვანძისაგან და საერთო სალექარისგან. „ბასრა 2”-ის სათავე კვანძები, საერთო სალექარისა (5x26x3,5მ) და სადაწნეო მილსადენის გავლით აწვდის წყალს „ბასრას 2“-ის ძალურ კვანძს. N1 სათავე კვანძი მდებარეობს მდ. ბჟუჟაზე ზ.დ. დონიდან დაახლოებით 1513-1517 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-263579, Y-4632494), N2 სათავე კვანძი (GPS: X-263459, Y-4632816) - მდინარის მარჯვენა შენაკადზე, ზ.დ. დონიდან დაახლოებით 1513-1519 მ-ზე. N1 სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის წყალსაგდები, ტიროლის ტიპის წყალმიმღები (სიგანე 9 მეტრი, სიმაღლე - 4 მეტრი) და „გასასვლელი აუზების” ტიპის 11 საფეხურიანი თევზსავალი ნაგებობა. N2 სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის წყალსაგდები, ტიროლის ტიპის წყალმიმღები (სიგანე 9 მ, ხოლო სიმაღლე - 5,6 მ) და „გასასვლელი აუზების” ტიპის 7 საფეხურიანი თევზსავალი. „ბასრა 2” ჰესის N1 სათავე კვანძის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - 0,18 მ³/წმ, ხოლო მარჯვენა შენაკადზე N2 სათავე ნაგებობის ეკოლოგიური ხარჯია - 0,05 მ³/წმ. ეკოლოგიური ხარჯი თევზსავლებიდან განუწყვეტილად გატარებული იქნება ქვედა ბიეფის მიმართულებით, მდინარის ბუნებრივ კალაპოტში. „ბასრა 2” ჰესის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი (დიამეტრი - 1200 მმ; ჯამური სიგრძე 3311 მ) შედგება სამი ნაწილისგან: I – „ბასრა 2”-ის მთავარი წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი მონაკვეთი, II - ტიროლის (N2) წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე და III – საერთო სალექარიდან „ბასრა 2” ჰესის ძალური კვანძის შენობამდე მონაკვეთი. „ბასრა 2” ჰესის შენობის პარამეტრებია: 23x13 მ. ჰესის შენობა განთავსებულია ზ.დ.დ დაახლოებით 1111 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: Y-261466, X-4634093). კონსტრუქცია შედგება რკინაბეტონის სამირკვლისგან და ლითონის კარკასისაგან. პროექტის ფარგლებში, „ბასრა 2” ჰესის შენობაში ჩასატარებელი ღონისძიებები მოიცავს: 1,97 მგვტ სიმძლავრის ტურბინის ჩანაცვლებას 6,24 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტიპის ტურბინით, ამასთან, „ბასრა 2” ჰესის შენობაში

დამატებით კიდევ ერთი პელტონის ტურბინის განთავსებას, დადგმული სიმძლავრით - 3,1 მგვტ. ჰესის საანგარიშო ხარჯი იქნება 3 მ3/წმ. ტურბინებიდან წყლის მდინარეში დაბრუნება განხორციელდება გამყვანის არხების მეშვეობით. თითოეული ტურბინისთვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური გამყვანი არხების მოწყობა. „ბასრა 2“ ჰესის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ 10 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის ნაცვლად დაგეგმილია 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის განთავსება. გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-261465.4; Y-4634073.1. „ბასრა 2“-ის წყალსატევის შეგუბების მოცულობა ნორმალური შეტბორვის პირობებში N1 სათავე ნაგებობისთვის შეადგენს 590.7 მ3-ს, ხოლო N2-თვის 329.8 მ3-ს. წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი N1 სათავე ნაგებობისთვის შეადგენს 537 მ2-ს, ხოლო N2-თვის - 388 მ2-ს შეადგენს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „ბასრა 4“ ჰესი შედგება ორი სათავე კვანძისაგან და ერთი საერთო სალექარისგან (GPS კოორდინატები: X- 264525, Y- 4630956). N1 სათავე კვანძი მოწყობილია მდ. ბჟუჟაზე ზღვის დონიდან დაახლოებით 1710-1720 მ ნიშნულებზე (GPS კოორდინატები: X-264355, Y-4630613), N2 სათავე კვანძი - მდ. ბჟუჟას მარჯვენა შენაკადზე ზღვის დონიდან დაახლოებით 1715-1718 მ ნიშნულებზე (GPS: X-264596, Y-4630949). სათავე კვანძები წარმოადგენს ტიროლის ტიპის წყალმიმღებით აღჭურვილ რკინა-ბეტონის ნაგებობებს. N1 წყალმიმღების დამბის სიგანეა 9 მ, სიმაღლე 4 მ. N2 წყალმიმღების დამბის სიგანე 9 მ, ხოლო სიმაღლე 5.6. სათავე კვანძების შემადგენლობაში შედის „გასასვლელი აუზების“ ტიპის თევზსავალი ნაგებობები, N1 სათავე ნაგებობაზე გათვალისწინებულია 9 საფეხურიანი, ხოლო N2 სათავე ნაგებობაზე 6 საფეხურიანი თევზსავალი; სადერივაციო-სადაწნეო მილსადენები; საერთო სალექარი (5x3.5x26მ); ეკოლოგიური ხარჯი მდ. ბჟუჟაზე სათავე კვანძის (N1) საანგარიშო კვეთში შეადგენს- 0,10 მ3/წმ, ხოლო მდ. ბჟუჟას მარჯვენა შენაკადის სათავე კვანძის (N2) საანგარიშო კვეთში - 0,07 მ3/წმ. „ბასრა 4“ ჰესის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი შედგება სამი ნაწილისგან: I - „ბასრა 4“-ის N1 წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი მონაკვეთი; II - N2 წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი და III - საერთო სალექარიდან „ბასრა 4“ ჰესის ძალური კვანძის შენობამდე მონაკვეთი. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, მილსადენების ჯამური სიგრძე შეადგენს 2950 მ-ს, დიამეტრი - 1000 მმ-ს. მილსადენების დერეფნები განთავსებულია მდინარის მარჯვენა ნაპირებზე, არსებული გზების გასწვრივ. „ბასრა 4“-ის სათავე კვანძები, ინდივიდუალური მილსადენებისა და საერთო სალექარის გავლით წყალს აწვდის „ბასრას 4“-ის ძალურ კვანძს (ზომებით 23 x 13 მ), რომელიც განთავსებულია ზ.დ.დ დაახლოებით 1515 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატებია: X-263445, Y-4632720). „ბასრა 4“ ჰესის შენობაში დაგეგმილია 1,98 მგვტ. ტურბინის, ორმაგი ჭავლისებრი ტიპის 3,3 მგვტ სიმძლავრის ტურბინით ჩანაცვლება. ჰესის საანგარიშო ხარჯი იქნება 2.2 მ3/წმ. ტურბინიდან წყალი მდინარეში დაბრუნდება გამყვანი არხის მეშვეობით. „ბასრა 4“ ჰესის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ 10 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის ნაცვლად დაგეგმილია 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის განთავსება. „ბასრა 4“-ის წყალსატევის შეგუბების მოცულობა ნორმალური შეტბორვის პირობებში N1 სათავე ნაგებობისთვის შეადგენს 30 მ3-ს, ხოლო N2-თვის 15 მ3-ს. წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი N1 სათავე ნაგებობისთვის შეადგენს 35 მ2-ს, ხოლო N2 სათავე ნაგებობისთვის - 18 მ2-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დამბის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბება არ სცდება მდინარის კალაპოტს.

ჰესების მიერ გამოიმუშავებული ენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვისთვის გათვალისწინებულია: არსებული 10 კვ საკაბელო ეგბ-ის ძაბვის ამალეება 35 კვ-მდე, რომელიც განხორციელდება ჰესის ტრანსფორმატორებში ძაბვის ამალეების გზით (საკაბელო ქსელის პარამეტრები იძლევა, როგორც 10 კვ, ისე 35 კვ ძაბვის გატარების საშუალებას, შესაბამისად ახალი ტერიტორიის ათვისება გათვალისწინებული არ არის); სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ეგბ-ის 45-ე საყრდენთან 110 კვ ძაბვის ღია ტიპის ქვესადგურის „ბასრას“ მოწყობა (ს/კ: 26.33.23.122); არსებულ 35 კვ ძაბვის საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ „ბასრას“ ქვესადგურამდე დაგრძელება 74 მეტრი სიგრძის 35 კვ მიწისქვეშა ეგბ-ით. არსებული და საპროექტო 35 კვ საკაბელო ეგბ-ის საერთო სიგრძე იქნება 4095 მეტრი.

დაგეგმილი 74 მეტრის 35 კვ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისთვის თხრილის მოწყობა გათვალისწინებულია შემდეგი მონაცემებით: თხრილის ძირის სიგანე - 400 მმ; თხრილის თავის სიგანე - 800 მმ; თხრილის სიღრმე - 1200 მმ.

საპროექტო ქვესადგური „ბასრას“ (110/35 კვ) მოწყობა დაგეგმილია არსებული 35 კვ ქვესადგურის მიმდებარედ (მიახლოებით GPS კოორდინატები: X-260111, Y-4638761). საპროექტო ქვესადგური იქნება ღია ტიპის, ელევანური ამომრთველებით. ქვესადგურის მთლიან პერიმეტრს გაუკეთდება 2 მ სიმაღლის ლითონის ბადის შემოღობვა. მოეწყობა საჰაერო განშტოება და ქვესადგური დაუერთდება „ოზურგეთი-ზოტიქვის“ 110 კვ ძაბვის ეგხ-ს. ქვესადგურის მიახლოებითი პარამეტრები იქნება (სიგრძე x სიგანე) 52 x 38 მეტრი. ქვესადგურის ტერიტორიაზე განსათავსებელ მოწყობილობებს წარმოადგენს: 110/35 კვ 30 მგვა ტრანსფორმატორი - 2 ცალი; 110 კვ სატრანსფორმატორო უჯრედი - 2 ცალი; 110 კვ სახაზო უჯრედი - 2 ცალი; 110 კვ შემკრები სალტე ; მართვის და დაცვის კონტეინერი; დაცვის ოთახი; საკაბელო მეურნეობა; დამიწების და მეხამრიდი სისტემები.

ქვესადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა ტრანსფორმატორებიდან ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრები ავზი. ტრანსფორმატორების ქვეშ მოეწყობა ზეთ-საწრეტი ჭები, რომლებიც დაუკავშირდება ზეთის შემკრებ ავზს. საპროექტო ტერიტორიის მთლიან პერიმეტრზე მოეწყობა სანიაღვრე წყლების სადრენაჟო სისტემა, რომელიც მოიცავს არხებს საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრზე და წყალს აარიდებს ქვესადგურის განთავსების უბანს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაწყობი სათავე ნაგებობების კვეთებში მდინარის ჰიდროლოგიური მახასიათებლების დასადგენად გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი. საშუალო მრავალწლიური ხარჯის სიდიდეები დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში „საქართველოს წყლის ბალანსი“; მინიმალური ხარჯები და მყარი ნატანის ჩამონადენი დადგენილია ჰიდროლოგიურ ცნობარში „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები, ტომი IX, გამოშვება I“ მოყვანილი მეთოდით. გაანგარიშებებისთვის გამოყენებული იქნა ბჟუჟაჰის კაშხალთან 1950-1955 წლების, ბჟუჟაჰის სააგრეგატო შენობის ქვემოთ არსებული 1957 წლის, ბჟუჟაჰის სააგრეგატო შენობის ზემოთ 1962-1986 წლების და სოფელ გომთან 1939-1940, 1950, 1952-1987 წლების დაკვირვების მონაცემები. ანგარიშში მოცემულია საპროექტო კვეთებში მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის საშუალო წლიური ხარჯების, მაქსიმალური ხარჯების და მინიმალური ხარჯების სიდიდეები, მდინარე ბჟუჟასა და მისი შენაკადების მყარი ჩამონადენის შესახებ ინფორმაცია, საპროექტო კვეთებში საანგარიშო უზრუნველყოფის (10%, 50%, 75% და 90%), საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილებისა და ეკოლოგიური ხარჯის სიდიდეების („ბასრა 1“ - 0,28 მ³/წმ; „ბასრა 2“ - N1 - 0,18 მ³/წმ, N2 - 0,05 მ³/წმ; „ბასრა 3“ - 0,16 მ³/წმ, „ბასრა 4“ N1 - 0,10 მ³/წმ, N2 - 0,07 მ³/წმ) შესახებ ინფორმაცია, რაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალაღების კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის ტოლია. ანგარიშის თანახმად, ვინაიდან იქთიოფაუნის კვლევით დადგინდა, რომ საქართველოს წითელი ნუსხის სახეობისთვის - ნაკადულის კალმახისთვის სენსიტიურ მონაკვეთს წარმოადგენს „ბასრა 4“-ის N2 სათავე კვანძის ქვედა ბიეფი, იქთიოფაუნის კვლევის ანგარიშის რეკომენდაციის საფუძველზე მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ს (0.03 მ³/წმ) დამატება 0.04 მ³/წმ და შესაბამისად „ბასრა 4“-ის N2 სათავე კვანძისთვის ეკოლოგიურ ხარჯად განისაზღვრა 0.07 მ³/წმ, შესაბამისად თევზსავალში 0.03 მ³/წმ-ის ხარჯის გატარების ნაცვლად განისაზღვრა 0.07 მ³/წმ ხარჯის გატარება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ახალი ტერიტორიები ათვისებული იქნება მხოლოდ არსებული საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ „ბასრას“ ქვესადგურამდე დაგრძელების (74 მ) და 110 კვ „ბასრას“ ქვესადგურის მოწყობის ადგილზე (მიახლ. 5000 მ²). ძალურ კვანძებში დამატებითი ტურბინების დამონტაჟების მიზნით საჭირო არ არის არსებული ჰესების შენობების გაფართოება-რეკონსტრუქცია და შედეგად ახალი ტერიტორიების ათვისება. ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება არსებული გზები, შესაბამისად დამატებითი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების (ტურბინების დამონტაჟება, ეგხ-ის

დაგრძელება და ქვესადგურის მოწყობა) ვადად განსაზღვრულია 3 თვე. დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის ან/და სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება დაახლოებით 20-30 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მომსახურე პერსონალის წყლით მომარაგება მოხდება ადგილზე მიტანილი წყლით. ჰესის შენობებში სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა განხორციელდება ბიოტუალეტების გამოყენებით, ხოლო ქვესადგურის ტერიტორიაზე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის მიზნით გათვალისწინებულია საასენიზაციო ბეტონის ორმოს (5-10 მ³) მოწყობა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, როგორც არსებული 35 კვ და საპროექტო 110 კვ ქვესადგურების დამაკავშირებელი 35 კვ საკაბელო ხაზის, ისე 110 კვ ქვესადგურის განთავსების ადგილზე საველე-ვიზუალური დაკვირვებით/დაზვერვით ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საფარი არ არის წარმოდგენილი. საკაბელო ეგზ-ის და ქვესადგურისთვის ასათვისებელი ტერიტორიის ფართობიდან გამომდინარე, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის და ქვესადგურის განთავსების დროს მოსალოდნელია 200-250 მ³ გრუნტის წარმოქმნა. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული გრუნტი დროებით განთავსდება ექსკავაციის ადგილზე და გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, შესაბამისად, ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა არ არის გათვალისწინებული. ანგარიშის თანახმად, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: განხორციელდება ნარჩენების სათანადო მართვა, გამოყენებული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი. სამუშაო უბნების მარკირება და საზღვრების მკაცრი დაცვა. საწვავის შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში, მოხდება დაბინძურებული ფენის დროული მოხსნა და ტერიტორიიდან გატანა შემდგომი მართვის მიზნით და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო დერეფნის გეოლოგიური პირობების კვლევის მიხედვით ზოგადი გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი გარემოება, რომელიც წინააღმდეგობას შეუქმნიდა ჰესების ნაგებობების პროექტირებას, მშენებლობას ან მათ ექსპლუატაციას. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 7 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევი არეალის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებისთვის შპს „გეოლოჯიკის“ მიერ ჩატარდა სხვადასხვა სახის საველე, ლაბორატორიული და საოფისე სამუშაოები. საველე კვლევების დროს საკვლევ უბანზე სულ გაყვანილია 2 შურფი და მოხდა შურფებიდან ლაბორატორიული კვლევისთვის გრუნტის ნიმუშების აღება. საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდა გეოფიზიკური კვლევა ვერტიკალური ელექტრო ზონდირების მეთოდით. საპროექტო ქვესადგურის და საკაბელო ეგზ-ის ტერიტორიის ფარგლებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად, შესწავლილ სიღრმემდე, გამოიყო ერთი ლითოლოგიურ-სტრატოგრაფიული ერთეული (სგე): თიხნარი მონაცრისფრო ყავისფერი, ნახევრად მყარი, ხვინჭის ჩანართებით. იგი გავრცელებულია საკვლევ ტერიტორიაზე და ამ ფენის სიმძლავრე გაყვანილი საძიებო შურფებისა და ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის (ვერტიკალური ელექტრო ზონდირების ცდების) მონაცემების მიხედვით 15 მეტრს აღემატება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ქვესადგურის და საკაბელო ეგზ-ის, ტერიტორია გეოდინამიკური თვალსაზრისით სტაბილურია და არ ფიქსირდება მშენებლობისათვის ხელისშემშლელი აქტიური გეოდინამიკური მოვლენა ან პროცესი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტი წარმოადგენს ნახევრად მყარი კონსისტენციის მონაცრისფრო ყავისფერ თიხნარს, ხვინჭის ჩანართებით და ამ ფენის სიმძლავრე საკმაოდ დიდია (15 მეტრი და მეტი), ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების პროცესში, შესაძლოა დაირღვეს გეოლოგიური გარემოს წონასწორობა. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის:

ნაგებობების მუდმივი კონტროლი და პერიოდული შეკეთების უზრუნველყოფა, დერეფანში გეოდინამიკურ პროცესებზე მონიტორინგის განხორციელება და სხვა.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია მიწისქვეშა წყლების ხარისხსა და ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება. ჰესის შენობებში ტურბინების მოწყობის, 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის განთავსების ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტის კალაპოტში ან/და მის უშუალო სიახლოვეს სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს. საკაბელო ეგხ-ის და ქვესადგურის განთავსების ზონაში, დაძიებულ სიღრმეებზე გაყვანილ შურფებში გრუნტის წყალი არ გამოვლენილა. მიწისქვეშა წყლის დაბინძურება შესაძლებელია მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო მანქანებიდან და მექანიზმებიდან საწვავის/ზეთის/საპოხი მასალების გაჟონვისას/დაღვრისას, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არასათანადო მართვისას და ა.შ. ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: მანქანების და სამშენებლო ტექნიკის გამართულობის რეგულარული კონტროლი; საწვავის/ზეთის შემთხვევითი დაღვრის დაუყოვნებლივ გაწმენდა აბსორბენტის გამოყენებით; ტერიტორიაზე დაზიანებული ტექნიკური საშუალებების/მანქანების დაშვების აკრძალვა და ა.შ.

ჰესების ოპერირების პროცესში სათავე ნაგებობებიდან ძალურ კვანძამდე მონაკვეთებში მოხდება მდინარის წყლის ხარჯის შემცირება. თუმცა, ზემოქმედებას ნაწილობრივ შეამცირებს კაშხლის ქვედა ბიეფში გასატარებელი სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი. სამშენებლო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მდინარის საპროექტო მონაკვეთში წყლის დონის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს ხეობისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ სახეობაზე ზემოქმედება (საარსებო გარემოს შეზღუდვა). ზემოქმედების პრევენციისა და შემცირების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: დამყარდება კონტროლი ჰესების ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე და უზრუნველყოფილი იქნება მონაცემების სისტემატური აღრიცხვა; მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ტოლი ან მასზე ნაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში მოხდება ჰესის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯი სრულად გატარდება სათავე ნაგებობების ქვედა ბიეფში; უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით;

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ქვესადგურში გათვალისწინებული ზეთის შემკრები რეზერვუარის მოცულობა პროექტის მიხედვით აღემატება ტრანსფორმატორებში არსებული ზეთის მოცულობის 110%-ს. ექსპლუატაციის ეტაპზე ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკები პრაქტიკულად არ არსებობს, თუმცა შესაძლოა გაუთვალისწინებელი შემთხვევების პრევენციის მიზნით ექსპლუატაციის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნოლოგიური მოწყობილობების და დამხმარე ერთეულების, გამართულობის მუდმივი კონტროლი.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედებები და აღნიშნულია, რომ ამგვარ ზემოქმედებას ადგილი ექნება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. მშენებლობის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ძირითადად მოსამზადებელ და სამშენებლო სამუშაოებთან, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების არსებობასთან. ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის გათვალისწინებულია ნაგებობების ფერის შერჩევა ადგილობრივ ბუნებრივ გარემოსთან; სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება; ნარჩენების სათანადო მართვა და ტერიტორიის სანიტარული პირობების დაცვა; ჰიდროტექნიკური ნაგებობების მიმდებარედ ხე-მცენარეების ზრდა-განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო და

სარეკომენდაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიში, ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებებისა და სახეობების შესახებ, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური, რელიქტური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფლორისტული შეფასება მოიცავდა გავლენის ზონაში არსებულ მცენარეთა იდენტიფიკაციას, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მცენარეული სახეობების გამოვლენას და წითელი ნუსხის მიხედვით საფრთხეში მყოფი მცენარეული სახეობების დაფიქსირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საველე დაკვირვების ფარგლებში დაფიქსირებული ფლორისტული სახეობებია: წიფელი (ლათ: *Fagus orientalis*); მთის ბოყვი, მთის ნეკერჩხალი (*Acer pseudoplatanus*); მურყანი, თხმელა (*Alnus*); რცხილა (*Carpinus*); საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან გვხვდება წაბლის (*Castanea sativa*) ცალკეული ინდივიდები; ქვეტყეში ძირითადად წარმოდგენილია შქერი (*Rhododendron ponticum*), ასევე გვხვდება გვიმრები (*Psilotopsida*); ხეობის ქვედა წელში წარმოდგენილია აგრეთვე ინვაზიური სახეობები: იაპონური კრიპტომერია (*Cryptomeria japonica*) და მანჯურიული კაკალი (*Juglans mandshurica*).

ანგარიშის თანახმად, ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება განხორციელდა კანონმდებლობის დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე. როგორც საპროექტო 35 კვ ძაბვის საკაბელო ქსელის, ისე 110 კვ ძაბვის ქვესადგურის განთავსების ადგილზე 8 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეები მოჭრას/გარემოდან ამოღებას არ საჭიროებს. ქვესადგურის პარამეტრების გათვალისწინებით, ქვესადგურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მთლიანი ფართობის ათვისების საჭიროება არ დგას. შესაბამისად ადგილები, სადაც გვხვდება მწვანე სივრცეები შესაძლებელია შენარჩუნებული იქნეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი მოჭრა განხორციელდება კანონმდებლობის დადგენილი წესით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 10-15 მეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ-45 ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჰესი-გომისმთა). გზშ-ის ანგარიშის თანახმად 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ეგზ-ის მოწყობა-ექსპლუატაცია განხორციელდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 26 ივლისის N 2-03/11253 წერილით განსაზღვრული ტექნიკური პირობების დაცვით, რომელიც თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს.

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 141716 კვ.მ. ფართობიდან (shp ფაილები), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 86402 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის შემოქმედის სატყეოს, კვარტალი N13;20;29;31;35;37. ოზურგეთის სატყეო უბნის შემოქმედის სატყეოში მდებარე 86402 კვ.მ. ფართობიდან 82343 კვ.მ. ფართობი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, აღნიშნულ ნაკვეთებზე, შპს „პარვუს ბასრას“ მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. ასევე გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით ახლავს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფაუნის შესახებ, კონკრეტული სახეობებისა და მათი გავრცელების კოორდინატების მითითებით. ფაუნის კვლევის მიზანი იყო საპროექტო ტერიტორიაზე ძუძუმწოვრების, ქვეწარმავლების, ამფიბიების და ხმელეთის უხერხემლოების სახეობრივი მრავალფეროვნების დადგენა. შესაძლო შემაწუხებელი ფაქტორების და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაზე, წაბზე (*Lutra lutra*). თუმცა, საველე კვლევის დროს მდინარის ხეობაში (ჰესების

საკვლევ არეალში) არ გამოვლენილა წავის ცხოველქმედების ფაქტები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: საპროექტო ტერიტორიების და სამშენებლო დერეფნის საზღვრების დაცვა, დამატებითი ტერიტორიების დაზიანების თავიდან ასაცილებლად; ორმოებისა და თხრილების შემოფარგვლა მკვეთრი ფერის საგნებით, მათში ცხოველების ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად; მშენებლობამდე, ცხოველების პოტენციური საბინადრო ადგილების გამოვლენა-დაცვა; სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაზიანებული უბნების მოწესრიგება და ტექნიკური რეკულტივაციის სამუშაოების ჩატარება და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჩატარდა იქთიოლოგიური საველე კვლევითი სამუშაოები, რომელიც მოიცავდა მდინარე ბჟუჟას მთავარ დინებას, „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 4“ ჰესებს შორის არსებულ მონაკვეთზე. ასევე მდინარე ბჟუჟას ორ მარჯვენა და ერთ მარცხენა შენაკადს, რომლებიც „ბასრა 3“-ის წყალმიმღების და „ბასრა 2“-ის, და „ბასრა 4“-ის დამატებითი წყალმიმღები ნაგებობების განთავსების არეალს წარმოადგენს. საველე კვლევის მთავარი მიზანი იყო, მდინარე ბჟუჟას და მისი შენაკადების იქთიოფაუნის (გავლენის არეალებში მოხვედრილი იქთიოფაუნის წარმომადგენლების) შესწავლა/იდენტიფიცირება და სათანადო შეფასებების გაკეთება. კვლევის დროს გამოყენებული იქნა, სამეცნიერო ელექტროთევზმომზიდი აპარატი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად საწყის ეტაპზე გამოკვლევის შედეგად (ლიტერატურული წყაროები და დარგის სპეციალისტები) გამოიკვეთა 5 ძირითადი სახეობა, რომლებიც დიდი ალბათობით წარმოდგენილია მდინარე ბჟუჟას ხეობაში: ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta morfa fario*), კოლხური წვერა (*Barbus tauricus escherichii*), სამხრეთული მარდულა (*Alburnoides fasciatus*), კოლხური ციმორი (*Gobio ciscaucasicus*) და მდინარის კავკასიური ღორჯო (*Ponticola constructor*).

ანგარიშის თანახმად კვლევა ჩატარდა ხუთ უბანზე, თუმცა საველე კვლევის ფარგლებში მხოლოდ ორ უბანზე (Gps კოორდინატები: X-260903.8, Y-4635169.6; X-264513, Y-4630971) დაფიქსირდა ნაკადულის კალმახი. საველე კვლევის დროს დერეფანში დაფიქსირდა კავკასიური სალამანდრა ბასრა 1-ის სათავე კვანძის ზედა ბიეფში (X-261594; Y-4634058). ჰესების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, კალაპოტში შემცირდება წყლის მოცულობა, რაც გამოიწვევს ბარიერების წარმოქმნას მდინარეში. ანგარიშის თანახმად, ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ნაკადულის კალმახის პოპულაციის აღდგენის მიზნით, მდინარის დათევზიანება; დათევზიანების შემდგომი კვლევა და მონიტორინგი, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით; მდინარის იქთიოფაუნის მონიტორინგი; სათავე კვანძებზე თევზსავალების გამართული ოპერირება და მუდმივი კონტროლი და სხვა.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია კუმულაციური ზემოქმედების საკითხები, რომლის თანახმად საპროექტო ქვესადგურის მოწყობის და ქსელთან მიერთების სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია მას შემდეგ, რაც სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოფს „ოზურგეთი-ზოტიკესის“ 110 კვ ძაბვის ქსელის გაყვანას, აღნიშნულის შესაბამისად, ობიექტების სამშენებლო სამუშაოების წარმოებით გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტერიტორიის ბოლო მონაკვეთის - „ბასრა 3“ და „ბასრა 1“-ის სააგრეგატო შენობის ქვედა ბიეფში, დაახლოებით 150 მეტრში მდებარეობს „ბჟუჟაჰესი“, შესაბამისად საპროექტო ჰესების მიერ გამომუშავებული წყალი „ბჟუჟაჰესის“ სათავე ნაგებობამდე დაუბრუნდება კალაპოტს. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე სხვა წყალმოსარგებლები არ ფიქსირდება. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ძირითადად იქთიოფაუნაზე ზემოქმედების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებები მათ შორის, ეკოლოგიური ხარჯის მუდმივი გატარება და თევზსავლების გამართული ექსპლუატაცია და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე

მზა სახით შემოვა. ტურბინების დამონტაჟების, 74 მეტრიანი 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის და 110 კვ ქვესადგურის მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება მიწის სამუშაოები, სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული იქნება: მცირე ზომის ექსკავატორ-დამტვირთელი, თვითმცლელი და ამწე-მანიპულატორი, რომელთა მუშაობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობით არაორგანული მტვრის და წვის პროდუქტების ემისიებს. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, უქმად მდგომი სამშენებლო ტექნიკის ჩართულ მდგომარეობაში ყოფნის აკრძალვა, ტვირთის ჩამოცლის და დასაწყობების პირობების გაკონტროლება და სხვა. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტურბინების დამონტაჟების, 74 მეტრიანი 35 კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის და 110 კვ ქვესადგურის მშენებლობის პროცესში ჩართული ტექნიკა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები. ანგარიშის თანახმად, სააგრეგატო ჰესის შენობებში ტურბინების სამონტაჟო სამუშაოების ხმაურის დონე იქნება 45-55 დბა. სამშენებლო ტექნიკიდან წარმოქმნილი ხმაურის დონეები შეადგენს: თვითმცლელისთვის - 85 დბა, ამწე-მანიპულატორისთვის - 80 დბა, ხოლო ექსკავატორისთვის - 90 დბა, ხოლო ყველა სამშენებლო ტექნიკის ერთდროული მუშაობის შემთხვევაში ხმაურის დონემ შესაძლებელია შეადგინოს 92 დბა. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის მთავარ წყაროს წარმოადგენს ჰესის შენობებში დამონტაჟებული ჰიდროაგრეგატ(ებ)ი. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჰიდროაგრეგატის მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე 80 - 100 დბა-მდე მერყეობს. გზმ-ის ანგარიშში მოცემული მოდელირების შედეგების მიხედვით, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე („ბასრა 4“-ის საგენერატორო შენობიდან დაახლოებით 880 მ) უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ხმაურის დონე (35 დბა) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, მოხდება სამშენებლო არეალში სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სიჩქარეების და სამოდრაო მარშრუტების შეზღუდვა, ტურბინების სპეციალური გარსაცმით აღჭურვა და სხვა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექვევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და შესაბამისად მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. ასევე გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ გამოვლენილა. ხოლო, მიწის სამუშაოების შესრულების დროს არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის შემთხვევაში დაცული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღით სარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ანგარიშის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. კონტეინერებში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენების დასაწყობება მოხდება სპეციალურ სასაწყობო სათავსში, რომელიც შემდგომი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის

გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 26 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „პარვუს ბასრას“ წარმომადგენლები, გარემოსდაცვითი კონსულტანტი და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული საკითხები ძირითადად ეხებოდა იქთიოფაუნის კვლევებს, უსაფრთხოებასა და პრევენციულ ღონისძიებებს, მდინარეში დატოვებულ წყლის ხარჯს, სოციალურ საკითხებს და სხვა. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი იყო სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტ მამუკა გვილაგას შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პროექტის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებას, ალტერნატივების ანალიზის კოდექსთან შეუსაბამობას, კუმულაციურ ზემოქმედებას, პროექტის გარემოსდაცვით, სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის შეფასებას და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე განხილული იქნა შპს „პარვუს ბასრას“ მიერ. წარმოდგენილ შენიშვნებზე, კომპანიის წერილის (N10325 23.10.2024) თანახმად, ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების მშენებლობა განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად და გზმ-ის პროცედურაზე დოკუმენტაციის წარმოდგენაც მოხდა კოდექსის მოთხოვნების დაცვით. პროექტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ნაწილში ექსპერტის მოსაზრება, რომ კომპანიამ ხელოვნურად დაანაწევრა ჰესების პროექტები მცირე სიმძლავრეებად, რათა თავიდან აერიდებინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, უსაფუძვლოა. გზმ-ის ანგარიშში განმარტებულია, რომ ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესები, როგორც საწყის, ისე მოცემულ ეტაპზე წარმოდგენენ დამოუკიდებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს (შესაბამისი სათავეებით, სადაწნეო სისტემებით და ძალური კვანძებით) და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმებით ოთხი დამოუკიდებელი ჰესია და არა კასკადი. ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების ფუნქციონირება ემყარება ინდივიდუალურ ტექნოლოგიურ სქემას. ვინაიდან, დაგეგმილი იყო ოთხი ინდივიდუალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელთა სიმძლავრე არ შეადგენდა 2 მეგავატს, აღნიშნული არ საჭიროებდა კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლას, რაც დასტურდება ასევე გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილით. სიმძლავრეების გაზრდასთან დაკავშირებით ვინაიდან ჰესების დაგეგმვისა და მემორანდუმების გაფორმების ეტაპზე არ იყო ცნობილი მაღალი ძაბვის 110 კვ ორჯაჭვა ეგზ „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობის დასრულების და ჰესების ქსელზე მიერთების შესაძლებლობის საკითხები, საწყის ეტაპზე მიუხედავად მდინარე ბჟუჟას ხეობაში ჰიდროლოგიური პოტენციალისა, ვერ მოხდებოდა ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და მემორანდუმებიც აღნიშნულის შესაბამისად გაფორმდა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ცნობილია ახალ ქსელთან მიერთების საკითხი (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წერილი N2354/09), შესაბამისად დაიგეგმა ბასრა 1, ბასრა 2, ბასრა 3 და ბასრა 4 ჰესების სიმძლავრეების გაზრდა და

დოკუმენტაციის გარემოს ეროვნულ სააგენტოში კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენა. ასევე წარმოდგენილია როგორც ალტერნატივების ანალიზთან, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებასთან, ეკოლოგიურ ხარჯთან და საზოგადოების ინფორმირებასთან და სოციალურ პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაცია. გარდა ამისა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შპს „პარვუს ბასრას“ „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდაზე, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „პარვუს ბასრამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „პარვუს ბასრამ“ ჰესების ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ხარჯმზომების/ღონემზომების მოწყობა სააგენტოსთან შეთანხმებით. ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად უზრუნველყოს წყლის ხარჯების მონიტორინგი და შედეგების კვარტალში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;
5. შპს „პარვუს ბასრამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგის წარმოება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, საშიში გეოლოგიური პროცესებით დაძაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
6. შპს „პარვუს ბასრამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის ბიოლოგიურ გარემოზე მონიტორინგის სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს ექსპლუატაციიდან მინიმუმ 5 წლის განმავლობაში და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა, სადაც მათ შორის გათვალისწინებული იქნება იქთიოფაუნის კვლევების რუკა შესაბამისი სადგურების ლოკაციებისა და კოორდინატების აღნიშვნით, ასევე მდინარეში თევზის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლა/შეფასება, ჰესების ნეგატიური ზემოქმედების შედეგად თევზის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკის განსაზღვრის მიზნით. 5 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ მონიტორინგის ანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს შემდგომი დაკვირვების გაგრძელების საჭიროება. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს რეკომენდაციები და შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნას სააგენტოში;
7. შპს „პარვუს ბასრამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს დადგენილი ეკოლოგიური ხარჯის მუდმივად გატარება. თუ მონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდება წყლის

ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესების ექსპლუატაცია განახორციელოს სააგენტოს მიერ გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;

8. შპს „პარვუს ბასრამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, რომლის ექსპლუატაციის ეტაპის ბიოლოგიურ გარემოზე დაკვირვების ნაწილში ასევე აისახება კავკასიურ სალამანდრაზე (*Mertensiella caucasica*) მოსალოდნელ ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი, ამასთანავე მონიტორინგის ფარგლებში, შესაძლო შეუქცევადი ზემოქმედების დადგენის შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები. მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
9. შპს „პარვუს ბასრამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს დათევზიანების ღონისძიების გეგმა-გრაფიკის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება შესაბამის კვლევაზე დაყრდნობით მოცემული ინფორმაცია, დასათევზიანებლად შერჩეული ჰაბიტატების დეტალური დახასიათებისა და ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის (30 000-მდე ინდივიდი) რაოდენობის საკმარისობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დასათევზიანებლად გათვალისწინებული ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის რაოდენობის გაზრდა. დათევზიანება უზრუნველყოს შეთანხმების შესაბამისად;
10. შპს „პარვუს ბასრამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ჰესების ცალკეული ობიექტების ნახაზების სააგენტოში წარმოდგენა;
11. შპს „პარვუს ბასრამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ნაგებობების (სათავე ნაგებობები, ძალური კვანძები, სადაწნეო მილსადენები) გასწორებაში მდინარის ხარჯებისა და დონეების დამოკიდებულების მრუდების, ასევე ნაგებობების განთავსების უბნებზე კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;
12. შპს „პარვუს ბასრამ“ ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობის შემთხვევაში მათ მოწყობამდე უზრუნველყოს დეტალური პროექტების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა *shp* ფაილებთან ერთად. მათი მოწყობა განახორციელოს შეთანხმებული პროექტების შესაბამისად;
13. შპს „პარვუს ბასრამ“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;
14. შპს „პარვუს ბასრამ“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
15. შპს „პარვუს ბასრამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;
16. შპს „პარვუს ბასრამ“ სიმძლავრეების გაზრდის გათვალისწინებით ჰესების ექსპლუატაციის შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;
17. შპს „პარვუს ბასრამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
18. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პარვუს ბასრამ“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
19. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარვუს ბასრამ“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

20. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიების საინფორმაციო დაფებზე;
21. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/611-21-4-202410291526>

